



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის დებულება

თბილისი,
2019 წელი

ბაკალავრიატის დებულება

მუხლი 1. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი ხარისხები

1.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება მოცემული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი შემდეგი კვალიფიკაცია:

- 1.1.1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
- 1.1.2. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი;
- 1.1.3. სამართლის ბაკალავრი;
- 1.1.4. ბაკალავრი კომპიუტინგში;
- 1.1.5. ბაკალავრი მათემატიკაში;
- 1.1.6. მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში;
- 1.1.7. სოციალურ მეცნიერებების ბაკალავრი;
- 1.1.8. ხელოვნების ბაკალავრი;
- 1.1.9. ინჟინერიის ბაკალავრი;
- 1.1.10. არქიტექტურის ბაკალავრი.

1.2. ბაკალავრის კვალიფიკაცია სტუდენტს ენიჭება სკოლის საბჭოს მიერ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების მიღების შემთხვევაში. სკოლის საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

1.3. 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მუხლი 2. ძირითადი სპეციალობები

2.1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა ბიზნესის ადმინისტრირება;

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა საერთაშორისო ურთიერთობები;

2.3. კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი შემდეგი ძირითადი სპეციალობა:

- 2.3.1. კომპიუტინგი;
- 2.3.2. მათემატიკა;
- 2.3.3. კომპიუტერული და ელექტრო ინჟინერია.

2.4. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა - სამართალი.

2.5. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა – ფიზიკა.

2.6. მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა – სოციალური მეცნიერებები.

2.7. ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა:

- 2.7.1. სახვითი ხელოვნება;

- 2.7.2. ინტერიერის დიზაინი;
- 2.7.3. კომუნიკაციის დიზაინი.
- 2.8. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა - არქიტექტურა.
- 2.9. ინტეგრირებული სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ძირითადი სპეციალობაა - ინტეგრირებული სისტემების ინჟინერია.
- 2.10. გარდა ძირითადი სპეციალობისა (მეიჯორი), სტუდენტს შეუძლია, მესამე სემესტრიდან (ან მას შემდეგ, რაც სტუდენტი დაასრულებს პირველი და მეორე სემესტრით გათვალისწინებულ პროგრამას) აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (მაინორი).
- 2.11. დამატებითი სპეციალობის/არჩევითი საგნების ბლოკის არჩევის მოთხოვნით, სემესტრის დაწყებამდე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს.
- 2.12. დამატებითი სპეციალობის/არჩევითი საგნების ბლოკის შეცვლა სტუდენტს შეუძლია ამ სპეციალობით გათვალისწინებული საგნების/სასწავლო კურსების დაწყებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში, შესაბამის ჯგუფებში სტუდენტების დაშვებული რაოდენობის გათვალისწინებით. ჯგუფებში სტუდენტების დაშვებულ რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტი და ვებ-გვერდის მეშვეობით ატყობინებს სტუდენტებს.
- 2.13. დამატებითი სპეციალობის გაუქმება სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს, უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისისათვის შეტყობინების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დაასრულოს დამატებითი სპეციალობის ფარგლებში არჩეული/დაწყებული საგნის შესწავლა, რომლის შეფასება შეიტანება დიპლომის დანართში (ნიშნების ფურცელში).
- 2.14. როგორც წესი, კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვრება ჯგუფებში სტუდენტთა დასაშვები მაქსიმალური ოდენობა. ეს ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ წყდება სტუდენტთა რეგისტრაცია კონკრეტულ საგანზე/სასწავლო კურსზე.
- 2.15. უნივერსიტეტი უფლებამოსილია არჩევითი საგნების ან/და უცხო ენების ჯგუფებისთვის განსაზღვროს სტუდენტების მინიმალური რაოდენობა.

მუხლი 3. სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

- 3.1. სასწავლო წელი არ აღემატება 45 კვირას.
- 3.2. სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge).
- 3.3. როგორც წესი, საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილი უქმე დღეების განმავლობაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.
- 3.4. სასწავლო პროცესი წყდება და სტუდენტი ისვენებს წელიწადში ორჯერ - ზამთარსა და ზაფხულში. დასვენების ვადები იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შესაბამისად და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)

- 4.1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან.

- 4.2. სტუდენტს შეუძლია ბაკალავრიატზე დამატებითი კრედიტები დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი საგნების/ბლოკების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი სასწავლო წლის მანძილზე სტუდენტის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
- 4.3. უნივერსიტეტის რექტორი ცვლის და ანახლებს საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმს). უნივერსიტეტი შეცვლილ და განახლებულ კურიკულუმს აქვეყნებს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სტუდენტი ვალდებულია სისტემატურად თვალ-ყური ადევნოს და გაეცნოს ვებ-გვერდზე განთავსებულ კურიკულუმსა და სემესტრულ გეგმას.
- 4.4. კონცენტრაციის არჩევისა და შეცვლის ვადებს ადგენს სასწავლო მიმართულების კურატორი პრორექტორი, რომლის თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- 4.5. ძირითადი სპეციალობის კონცენტრაციის/არჩევითი საგნების ბლოკის არჩევისა და შეცვლის შესახებ სტუდენტი წერილობითი განაცხადით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს.
- 4.6. არჩევითი საგნის არჩევისა და შეცვლის ვადებს ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- 4.7. არჩევითი საგნის/სასწავლო კურსის შეცვლა/გაუქმება სტუდენტს შეუძლია ამ საგნების/სასწავლო კურსის სწავლის პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 2 კვირის ვადაში.

მუხლი 5. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება

- 5.1. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და გამოიყენება სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესაფასებლად. ერთი სასწავლო წლის მანძილზე (2 სემესტრის განმავლობაში) სტუდენტს უფლება აქვს დააგროვოს არაუმეტეს 75 კრედიტისა.
- 5.2. სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტი გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით გავლას (დადებითი შეფასების მიღებას).
- 5.3. სტუდენტს კრედიტები ენიჭება მხოლოდ საგნის/სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად.
- 5.4. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს/სკოლის ადმინისტრაციას.
- 5.5. სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე საგანი/სასწავლო კურსი გაიაროს დამატებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 75 კრედიტს.

მუხლი 6. შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა

- 6.1. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - 6.1.1. (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;
 - 6.1.2. (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
 - 6.1.3. (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
 - 6.1.4. (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
 - 6.1.5. (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.
- 6.2. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- 6.2.1. (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;
- 6.2.2. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- 6.3. სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად.
- 6.4. განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.
- 6.5. სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგად უგროვდება 41 და მეტი ქულა/% (მათ შორის, 51-ზე მეტი). სტუდენტი ასევე უფლებამოსილია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად უგროვდება 41 – 50 ქულა/%.
- 6.6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.
- 6.7. გამოცდაზე გასვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას განცხადებით.
- 6.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სასწავლო კურსში/საგანში ჩაატაროს ნებისმიერი ფორმის შუალედური და დასკვნითი შეფასება.
- 6.9. საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილი შეფასების ფორმები როგორც წესი ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში, „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაცია, ლექტორი და სტუდენტი ვალდებული არიან დაიცვან „გამოცდების ჩატარების წესი“.
- 6.10. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება რეგისტრაციის, ზუსტი აღრიცხვისა და აკადემიური მოსწრების გამოთვლის მიზნით გადაეცემა შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს. გამოცდის შედეგებს სტუდენტი ეცნობა შეფასების ელექტრონულ სისტემაში (EMIS).
- 6.11. სტუდენტი უფლებამოსილია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გამოცდების წესის შესაბამისად საგამოცდო ნაშრომის გადამოწმება მოითხოვოს საგნის ლექტორთან.
- 6.12. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ წესებს და დეტალურად იყოს ასახული კონკრეტული საგნის/სასწავლო კურსის სილაბუსში.
- 6.13. თუ სტუდენტი არ გამოცხადდა დასკვნით გამოცდაზე, იგი ფასდება 0-ით.
- 6.14. თუ სტუდენტს საგანში მიღებული აქვს F შეფასება, იგი საგანს განმეორებით შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პირველივე შესაძლებლობისას.

6.15. საგნის/სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ემისის საშუალებით. ემისში რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისში და წარადგინოს სარეგისტრაციო ფორმა. სარეგისტრაციო ოფისისათვის შევსებული ფორმის წარდგენამდე, სტუდენტმა სარეგისტრაციო განაცხადი შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი სკოლის/პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ზემოაღნიშნულ ფორმას.

6.16. სადიპლომო ნაშრომში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა სულ მცირე 2 (ორი) თვის ვადა ახალი ნაშრომის მოსამზადებლად. ნაშრომის წარდგენიდან 2 (ორი) თვის ვადაში უნივერსიტეტი ნიშნავს სადიპლომო ნაშრომის მოსმენას.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

7.1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

7.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

7.2.1. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

7.2.2. აკადემიური შვებულება;

7.2.3. სტუდენტის პირადი განცხადება;

7.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

7.2.5. სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

7.2.6. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 10 სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

7.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

7.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;

7.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

7.4.3. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;

7.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები.

7.5. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელსაც სურს დროებით არ ისარგებლოს უნივერსიტეტის მომსახურებით, ვალდებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აკადემიური შვებულების აღების თაობაზე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

7.6. თუ სტუდენტი 7.5 პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სტუდენტს არ დაეკისრება მიმდინარე სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება.

7.7. სტუდენტი, რომელიც სტუდენტის სტატუსი შეჩერების/აკადემიურ შვებულების აღების შესახებ განცხადებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, სემესტრის მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად.

- 7.8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.
- 7.9. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი კარგავს შეფასებების მიღების უფლებას და უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.
- 7.10. სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ოფისს.
- 7.11. სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 8.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - 8.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
 - 8.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
 - 8.1.3. პირადი განცხადება;
 - 8.1.4. სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;
 - 8.1.5. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველზე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება.
 - 8.1.6. გარდაცვალება.
- 8.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 9. სასწავლო პროგრამის გაუქმება და მობილობა

- 9.1. სასწავლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამაზე.
- 9.2. სტუდენტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით.
- 9.3. შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული შიდა და გარე მობილობის წესების შესაბამისად.
- 9.4. თუ სტუდენტი სწავლობს პროგრამაზე, რომელზეც სწავლის საფასური არის ნაკლები, ვიდრე იმ პროგრამაზე, რომელზეც სტუდენტს სურს შიდა მობილობით გადასვლა, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს გავლილი სემესტრების რაოდენობის შესაბამისი განსხვავება სწავლის საფასურში;
- 9.5. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ECTS კრედიტები შესაძლებელია აღიარებულ იქნეს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 9.6. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის შესაბამის სკოლას.
- 9.7. ამ მუხლის 9.5 პუნქტში აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ მობილობის მსურველმა პირმა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

9.7.1. სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

9.7.2. შესწავლილი საგნების სილაბუსები;

9.7.3. პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

9.7.4. ელექტრონული ფოტოსურათი (ზომით 3/4).

9.8. მობილობის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს სტუდენტის მიერ საგნის/სასწავლო კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც არის გასაუბრება, ზეპირი ან წერილობითი გამოცდა, ესე, ტესტირება, დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ან/და „გამოცდების ჩატარების წესით“ დადგენილი შეფასების სხვა ფორმები.

მუხლი 10. უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება

10.1. სწავლის გადასახადს სტუდენტი სრულად ფარავს ბაკალავრიატში სწავლის პირველი 8 სემესტრის განმავლობაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება შევსებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს უშუალოდ სტუდენტის მიერ, ხოლო თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

10.3. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად; ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე - უნივერსიტეტს.

10.4. ხელშეკრულებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს:

10.4.1. სტუდენტის სახელი და გვარი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი;

10.4.2. სტუდენტის პირადი ნომერი, ხოლო არასრულწლოვანების შემთხვევაში, აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის პირადი ნომერი;

10.4.3. სტუდენტის საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

10.4.4. სტუდენტის მიერ არჩეული ფაკულტეტის/სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

10.4.5. არასრულწლოვნობის შემთხვევაში ხელშეკრულებას უნდა დაერთოს სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.

10.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ ამით უმჯობესდება სტუდენტის მდგომარეობა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაში, სტუდენტის ეთიკის კოდექსში, გამოცდების ჩატარების წესში და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებში.

10.6. ბაკალავრიატში სწავლის პირველი 8 სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის ყოველსემესტრულად:

10.6.1. საშემოდგომო სემესტრი - სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოკლების შედეგად დარჩენილი ყოველწლიური საფასურის 50% (ორმოცდაათი პროცენტი);

10.6.2. საგაზაფხულო სემესტრი - სემესტრის დაწყებიდან სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოკლების შედეგად დარჩენილი ყოველწლიური საფასურის 50% (ორმოცდაათი პროცენტი).

10.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაზარდოს სწავლის საფასური, მაგრამ არა უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ის ოდენობით.

10.8. სწავლის საფასური შეიძლება გაიზარდოს 12%-ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლიური ინფლაცია ან/და ეროვნული ვალუტის დევალვაცია დოლართან მიმართებაში ოფიციალური მონაცემებით, გადააჭარბებს 12%-ს.

10.9. თუ სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას, ბაკალავრიატში მისი სწავლის საფასური მოიცავს:

10.9.1. ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ სავალდებულო და არჩევით კრედიტებს;

10.9.2. 15 სათადარიგო კრედიტს და ლაბორატორიული და პრაქტიკული კურსის 6 სათადარიგო კრედიტს.

10.10. თუ სტუდენტი ირჩევს ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასა და დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას, ბაკალავრიატში მისი სწავლის საფასური მოიცავს:

10.10.1. ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ სავალდებულო კრედიტებს;

10.10.2. დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ კრედიტებს;

10.10.3. 15 სათადარიგო კრედიტს და ლაბორატორიული და პრაქტიკული კურსის 6 სათადარიგო კრედიტს.

10.11. თუ სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას, სათადარიგო კრედიტების გამოყენება იწყება მას შემდეგ, რაც სტუდენტი სრულად ამოწურავს ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სავალდებულო და არჩევითი კრედიტების რაოდენობას.

10.12. თუ სტუდენტი ირჩევს ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასა და დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას სათადარიგო კრედიტების გამოყენება იწყება მას შემდეგ რაც სტუდენტი სრულად ამოწურავს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამისა და დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სავალდებულო კრედიტების რაოდენობას.

10.13. სათადარიგო კრედიტების ათვისება ხდება მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე;

10.14. თუ სტუდენტი გადავა სათადარიგო კრედიტის ათვისების რეჟიმში და დარეგისტრირდება შესაბამის საგანზე, საგნის რეგისტრაციის გაუქმების ვადის დასრულებიდან, სათადარიგო კრედიტების ის ოდენობა, რომელიც კონკრეტული საგნით არის განსაზღვრული, ითვლება მიწოდებულ კრედიტებად.

10.15. დამატებითი სპეციალობის გაუქმების შემთხვევაში, დამატებითი სპეციალობის ფარგლებში გავლილი კრედიტები ითვლება ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით კრედიტად. დამატებითი სპეციალობის გაუქმების შემდეგ, თუ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში გავლილი კრედიტები გადააჭარბებს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ არჩევითი კრედიტების ოდენობას, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სპეციალობის ფარგლებში გავლილი კრედიტები ჩაითვლება სათადარიგო კრედიტად.

10.16. სათადარიგო კრედიტების გამოყენება იწყება მას შემდეგ, რაც სტუდენტი სრულად ამოწურავს ძირითადი ან/და დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული კრედიტების რაოდენობას. ამასთან, სტუდენტის მიერ სათადარიგო კრედიტების გამოყენება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სპეციალობის საგნების/სასწავლო კურსების გავლისას.

10.17. სტუდენტი დამატებით საფასურს იხდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ მუხლის 10.9 – 10.12 პუნქტებში დადგენილი კრედიტების ამოწურვის შემდეგ, ვერ შეძლებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მიღებას.

10.18. დამატებითი საფასურის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მიმდინარე სასწავლო წელს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კრედიტის საფასურზე დაყრდნობით.

მუხლი 11. უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტები

11.1. ნებისმიერ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიიღოს მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი და სხვა ცნობები.

11.2. სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას სტუდენტის სტატუსის შესახებ. ცნობა გაიცემა სწავლის ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, GPA-ის დასადასტურებლად და სტუდენტის შესახებ უნივერსიტეტის ხელთ არსებული სხვა ინფორმაციის დასადასტურებლად.

მუხლი 12. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და სტუდენტის ელექტრონული ფოსტა

12.1. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.freeuni.edu.ge.

12.2. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას და თვალ-ყური ადევნოს სიახლეებსა და ცვლილებებს.

12.3. უნივერსიტეტი თითოეული სტუდენტისათვის ქმნის პერსონალურ ელექტრონულ ფოსტას, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტი სტუდენტს უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შეტყობინებებს და სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად გაეცნოს ელექტრონულ ფოსტას.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

13.1. სასწავლო პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის დებულების ცვლილებებს. დებულების ცვლილებები ექვემდებარება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

13.2. ბაკალავრიატის დებულების რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.